

ალწერიტი ვნებიტი თანამედროვე სალიტერატურო  
ქართულში\*

თანამედროვე ქართულს სალიტერატურო ენაში ვნებითი გვარის ზმნათა ორგანული ფორმების გარდა გამოიყენება ალწერიტი ფორმები, რომლებსაც სპეციალურ ლიტერატურაში ალწერილობით ანუ პერიფრასტულ ვნებითს უწოდებენ<sup>1</sup>.

ალწერიტ ვნებითს უწოდებენ ვნებითი გვარის ნამყო დროის მიმდევობის ფუძითა და მეშველი ზმნით (იქნა/იქნეს, იქნება) შედგენილ ფორმას (აშენებულ იქნა/იქნეს/იქნება). თუმცა საყურადღებოა ისიც, რომ ზოგჯერ ასეთი ფორმა კვალიფიცირებულია მიმდევობიან შედგენილ შემასმენლად, ხოლო იქნა/იქნეს ფორმები კი — მის ზმნურ წევრად ნამყო ძირითადას და მყოფადში<sup>2</sup>.

ალწერიტი ვნებითი შესაბამისი ორპირიანი აქტიური ზმნის კონვერსიული ფორმაა. იგი ერთი მორფოლოგიური პირის გაგებას შეიცავს. კონტექსტით, ჩვეულებრივ, ივარაუდება რეალურად მოქმედი პირიც, რომელიც ხშირად ფორმალურადაც არის გამოხატული (აშენებულ იქნა+—ის მიერ). ასეთი ფორმები ყოველთვის ევროპული ენების პასივის სემანტიკის მქონეა და ამის გამო მიჩნეულია ნამდვილი პასივის ფორმებად<sup>3</sup>.

ალწერიტი ვნებითის ფორმაში ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობა დაკავშირებულია მიმდევობასთან, რომელიც თითქმის ყოველ-

\* წაკითხულია მოხსენებად ოსუ და საქ. სსრ უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენის კათედრების რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნა ოსუ დაარსების 70 წლისთავს (1988, 22—23 ოქტომბერი. თეზისები, გვ. 50—51).

1 ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, ნაკვეთი II, 1943, 286; 1953, 304—305; ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, 1977, 63; მისივე, ქართული ენა, ნაწ. I, 1981, გვ. 266 და სხვ.

2 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციითა და წინასიტყვაობით, ტ. IV, 1955, სვ. 881.

3 ა. ჰარისი, ვნებითი ქართულში; „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, № 3, 1981, გვ. 109—116.

თვის ზმნისწინიანია. ლექსიკურს გარდა, მიმღეობას გარკვეული გრამატიკული მნიშვნელობაც უკავშირდება: ვნებითობა, დრო, ასპექტი. დამხმარე ზმნას კი გრამატიკული ფუნქცია აქვს: ნამყო ძირითადის იქნა ფორმა აღწერით ვნებითს აძლევს წარსული დროის მომენტობრივი, დასრულებული მოქმედების გრამატიკულ მნიშვნელობას, ხოლო II კავშირებითის იქნეს ფორმას მომავალი დროისა და მოდალობის გრამატიკული მნიშვნელობებიც უკავშირდება.

აღწერითი ვნებითის ფორმები უჩვეულოა ქართული ენის დიალექტებისათვის, საერთო-სახალხო სასაუბრო ქართულისათვის და, ამდენად, ქართული ანდაზების ენისთვისაც. ჩვენთვის საინტერესო აღწერითი ფორმები დამახასიათებელია მხოლოდ სალიტერატურო ენისათვის, ოღონდ ნაკლებად გვხვდება (ან არ გვხვდება) მხატვრული ლიტერატურის ენაში.

აღწერითი ფორმები დასტურდება ჩვენამდე მოღწეული უძველესი წერილობითი ძეგლების ენაშივე, მაგრამ იხმარება სხვა, ჩვეულებრივი აღწერითი წარმოების ფორმათა მსგავსად და რაიმე სპეციალური მორფოლოგიური ფუნქცია მათ არ უჩანთ.

მაგალითები „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“<sup>4</sup>:

ხოლო მამაჲ ჩუენი ნეტარი გრიგოლ მორჩილ იქმნა სიტყუათა მისთა (9ა); მშუგალესა მას ძმისა მორჩილ ექმნეს საღმრთოსა ძმობისა სიყუარულითა (24ა) და მისთ.

ასეთ შემთხვევებში აღწერით ფორმას მორფოლოგიური ფუნქცია არ აკისრია, რაც იქიდანაც ჩანს, რომ აღწერითი წარმოების ზმნური ნაწილი გვხვდება ყველა პირისა და რიცხვის ფორმით როგორც აბსოლუტური, ისე რელატიური გაგებით. სახელად ნაწილად კი, მიმღეობის გარდა, ყველა სახელი შეიძლება იყოს ფუძით წარმოდგენილი. ზოგადი თვალსაზრისით, ასეთი აღწერითი ფორმები ანალიზური წარმოების ერთ-ერთ უძველეს სახეობად შეიძლება ჩაითვალოს ორგანული წარმოების ფორმებთან შედარებით, კერძოდ — იმ პერიოდის გადმონაშთად, როცა ენაში „ყველა ერთეული ლექსიკური იყო“<sup>5</sup>. მაგრამ ამგვარმა ფორმებმა თანდათანობით შეიძინეს მორფოლოგიური და სტილისტიკური ფუნქციები, როცა ისინი გამოიყენებოდა ორგანული წარმოების ვნებითის ფორმათა პარალელურად (აშენებულ იქნა — აშენდა, დახატულ იქნა — დაიხატა და მისთ.) და ზოგჯერ მათ შემცვლელადაც (გაიღო — გაღებულ იქნა, აიღო — აღებულ იქნა, წაიყვანა — წაყვანილ იქნა და სხვ.).

<sup>4</sup> „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, ნ. მარის გამოცემა „Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии“, წ. VII, СПб, 1911.

<sup>5</sup> არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, 1952, გვ. 247—248.

ქართული სალიტერატურო ენის ბუნების კვლევისას აღწერითი ვნებებითს ფორმათა არსებობა ყურადღების გარეშე არ დარჩენილა. ზოგ გრამატიკოსთან ვნებებითს აღწერითი ფორმები მოხმობილია ვნებითისავე ორგანული ფორმების სემანტიკური დახასიათებისათვის<sup>6</sup> ან აღწერითი უღლების ტაბულებშია შეტანილი<sup>7</sup>. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აღწერითი ვნებითის ფორმები ამ ავტორებთან არ არის სხვა აღწერითი ფორმებისაგან გამოყოფილი და მორფოლოგიურ ფაქტად განხილული. მხოლოდ სილოვან ხუნდაძე განიხილავს მათ საგანგებოდ, როცა მართლწერის საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას<sup>8</sup>.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ფუნქციონირების სხვადასხვა სფეროს მონაცემების მიხედვით, ზმნის ვნებითი გვარის აღწერითი ფორმები ორგანული წარმოების ვნებითების გვერდით არსებობს და ზოგ სფეროში (მაგალითად, ოფიციალურ-საქანცელარო საქმეების ენაში) აშკარა უბირატესობითაც კი სარგებლობს. აღწერითი ვნებითი თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ფაქტია. საკვლევია მისი ლექსიკურ-სემანტიკური და ფორმალურ-სტრუქტურული ფუნქციები. დასადგენია მისი გამოყენების კანონზომიერება.

ქართული ზმნის ვნებითი გვარის აღწერითი ფორმის აღწერითი ვნებითად ჩამოყალიბებისათვის ხელი უნდა შეეწყოს ხშირი ხმარებისაგან იქმნა ზმნის გაცვეთასაც: ქმნ>ქნ (\*ქ-ამ-ენ>ქმნ>ქნ)<sup>9</sup>. ამის გამო თანდათანობით ქმნა და ქნა ფუძეების გამოყენების სფეროები განსხვავდა. შესაბამისად განსხვავებულია იქმნება — იქნება, იქმნა — იქნა პარონიმული ფორმები, რომლებიც სალიტერატურო ქართულში უკანასკნელ ხანებამდე გამიჯნული არც ყოფილა გამოყენების თვალსაზრისით. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში კი გამიჯნა მათი მოხმარების სფეროები<sup>10</sup>. იქმნება (შეიქმნება, შეიქმნია) კანონიერ ზმნად დარჩა, იქნება-ს კი იქნა, იქნეს ფორმები-

6 თ. ე. ო. რ. დ. ა. ნ. ი., ქართული გრამატიკა, 1889, გვ. 61.

7 მ. ჯანაშვილი, ქართული გრამატიკა, 1906, გვ. 115—117; დ. კარიჭაშვილი, ქართული ენის გრამატიკა, 1930, გვ. 120, ტაბ. XII.

8 ს. ხუნდაძე, ქართული გრამატიკა, 1904, გვ. 164; მისი ივე; ქართული მართლწერისა და სწორენის ძირითადი საფუძვლები, 1927, გვ. 74.

9 ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, 462; ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, 1954, გვ. 56; ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, 1975, გვ. 94; 1984, გვ. 334.

10 კრ. „ქართული სიტყვის ეულტურის საკითხები“, ტ. IV, 1981, გვ. 82; ტ. VII, 1985, გვ. 377—378.

ლა შერჩა. იქნება ფორმას დამოუკიდებლად ხმარების უნარი თანამედროვე სალიტერატურო ქართულშიც აქვს შენარჩუნებული; იგი მონაწილეობს არის, იყო მეშველ ზმნათა პარადიგმაში (არის, იქნება, იყო), იქნა იქნეს ფორმებმა კი დამოუკიდებლობა დაკარგეს.

ვნებითი გვარის წარსულდროიანი მიმლეობის ფუძითა და იქნა / იქნეს ზმნათა მონაწილეობით შედგენილ აღწერით ფორმას მორფოლოგიური ფუნქცია შემდეგ უნდა შეეძინა თანდათანობით. ამისთვის გადამწყვეტი თუ არა, მნიშვნელოვანი როლი უნდა ჰქონოდა იმასაც, რომ: 1. ასეთი ფორმები ორგანული ვნებითის პარადიგმის ნაწილად იქნა გაგებული; 2. ძველ ქართულშიც ყველა სახელისაგან გერ ხერხდებოდა ზმნური ფუძის წარმოება. თარგმნილ ლიტერატურასაც ერთგვარი ბიძგი უნდა მიეცა მისი გავრცელებისათვის. ყოველ შემთხვევაში, უკვე ისტორიულ ქართულშივე დასტურდება ასეთი ფორმები მორფოლოგიური ფუნქციით და შესამჩნევად ვრცელდება XIII საუკუნიდან ისტორიული პროზისა და დოკუმენტების ენაში<sup>11</sup>. როგორც ჩანს, საქმიანი, ოფიციალური სტილისათვის ეს ფორმები ნორგებული და შესაფერისი აღმოჩნდა, ალბათ, მათი სემანტიკის გამოც.

ორგანული ვნებითის ფორმებთან შედარებით აღწერითი ვნებითის ფორმები სემანტიკური შესაძლებლობებით გაცილებით ღარიბია; მაგრამ, მეორე მხრივ, ამავე მიზეზით ისინი აქტიური ზმნების ნაცვლად უფრო ხშირად გამოიყენება და მკვიდრდება. ორგანული და აღწერითი ვნებითების განსხვავებულ სემანტიკურ შესაძლებლობებზე არის სპეციალურ ლიტერატურაში საუბარი, როცა ერთმანეთთან დაპირისპირებულია გაიღო და გაღებულ იქნა ფორმები. გაიღო ფორმა ვნებითად გაგებისას იღება (გაიღება) ფორმას უღვას გვერდით, გაღებულ იქნა კი გააღეს (გააღეს კარი) და გაიღეს (თანხა გაიღეს) ფორმებს უფრო შეესაბამება შინარსობრივად<sup>12</sup>. მაშასადამე, განზოგადებულსუბიექტიანი აქტიური ზმნების ნაცვლად უფრო მოხერხებული აღმოჩნდა აღწერითი ვნებითის ფორმები და სალიტერატურო ენამ ეს შესაძლებლობაც გამოიყენა სტილისტიკური ფუნქციით.

სალიტერატურო ქართული ენის განვითარების გზაზე შეიმჩნევა თითქოსდა ერთმანეთის საწინააღმდეგო პროცესები: ერთი მხრივ, ახალი სალიტერატურო ქართულისათვის ორგანული წარმოება იქცა

<sup>11</sup> ივ. ქავთარაძე, ზმნის აღწერითი ფორმების ორგანულით შეცვლის ისტორიიდან ქართულში, ივე, ტ. XIV, 1964, გვ. 167—173.

<sup>12</sup> ა. შანშიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 304; ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, 1975, გვ. 20 და 40.

ნორმად (ღალად-ყო — იღალადა, ამბორს უყო — ეამბორა...), ან ზოგ შემთხვევაში აღწერითი წარმოება კომპოზიტების სახით დღევანდლამდე შემორჩა ენას, როგორც ძველი ვითარების გადმონაშთი (უზრუნველყოფს, შეურაცხყოფს..., თაყვანისცა...); მეორე მხრივ კი, აღორძინდა და გააქტიურდა აღწერითი ვნებითების წარმოებისა და გამოყენების შესაძლებლობა<sup>13</sup>. ამ უკანასკნელი პროცესისათვის შინაგანი მორფოლოგიური მიზეზებიც არსებობდა — ინიან ვნებითთა და სათავისო ქცევის ფორმათა დამთხვევა ნამყო სრულში (აღმოყვანა, იპოვა, მოიკლა და მისთ.). ენაში გაჩნდა მათი გარჩევის მოთხოვნილება და ენის რესურსებიდანვე გამოიძებნა შესაფერისი ფორმა.

აღნიშნულ შემთხვევებში ვნებითის ორგანული ფორმების ნაცვლად აღწერითი ვნებითის ფორმათა დამკვიდრება სპეციალურ ლიტერატურაში შეფასებულია ენის გამომსახველობითი უნარის შესუსტებად: „ძველი ვნებითის ნიშლით ჩვენმა ენამ არამცირედი გამოხატველობითი უნარი დაკარგა... ერთი მხრივ, ორაზროვნება და ორჭოფობა გაქრა, მაგრამ, მეორე მხრივ, დაგვეკარგა აგრეთვე (ინიანი) მარტივი, დიდი გამომსახველობითი ძალის ფორმები და მათ ნაცვლად შეგვჩნა არაეკონომიური აღწერითი ფორმები, რომლებიც ენას ამძიმებს“<sup>14</sup>.

მაგრამ, როგორც უნდა ამძიმებდეს ენას ეს ფორმები, მათი არსებობა თანამედროვე სალიტერატურო ქართულს (ყოველ შემთხვევაში პრესისა და სამეცნიერო ლიტერატურაში ენის) ფაქტია და მათი ზელადებით დაწუნება ან აკრძალვა აღარც მოხერხდება და არც საჭიროა. ზემოთ აღნიშნულის გარდა, აღწერითი ვნებითის ფორმებმა (ვნებითის ორგანული ფორმების მსგავსად) შესაძლებლობისა და უაქტიურობის ფუნქციათა გამოხატვაც იტვირთეს და, ამდენად, სალიტერატურო ენაში არსებობის უფლებაც მოიპოვეს. ოღონდ აღწერითი ვნებითის ფორმათა გამოყენების ყველა შემთხვევა ვერ ჩაითვლება ერთნაირად გამართლებულად.

აქ. შანიძე შენიშნავდა: „პერიფრასტული ვნებითი ახალ ქართულში თანდათან იფართოებს ჩმარების არეს და ისეთ ზმნათაგანაც გვაქვს, რომლებიც ადვილად აწარმოებენ ვნებითს“<sup>15</sup>, ე. ი. რომელთა ორგანული ფორმები არ იწვევს ორაზროვნებას. ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა ზოგი სხვა შენიშვნაც: „ბოლო ხანებში მონ-

13 ი. ვ. ქავთარაძე, ზმნის აღწერითი ფორმების ორგანული შეცვლის ისტორიიდან ქართულში, ივე, ტ. XIV, 1964, გვ. 171.

14 ი. ი. შანიძე, კიდევ ერთხელ ვნებითი გვარის ზმნების თავისებურებათა შესახებ ძველ ქართულში, „აკაკი შანიძე — 100“, 1987, გვ. 90—91.

15 ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 304.



დომებით ავრცელებენ აღწერილობით ვნებითს: „აღებულ იქნა, წაღებულ იქნა, მოკლულ იქნა, აოხრებულ და განადგურებულ იქნა“ და სხვები<sup>16</sup>; „ზოგჯერ ახალ ქართულში (უბირატესად ეურნალ-გაზეთების ენაში) შეინიშნება გაუმართლებელი გატაცება ამ კატეგორიის(!) გამოყენებაში, რაც საგრძნობ ვრამატიკულ-სტილისტიკურ უხერხულობას იწვევს. შდრ. გარიცხულ იქნა ნაცვლად გაირიცხასი... თუმცა მხატვრული ლიტერატურის ენაში ამგვარი რამ იშვიათია“<sup>17</sup>.

მართლაც, თანამედროვე მხატვრული ლიტერატურის ენაში თითქმის არ გამოიყენება ვნებითის აღწერითი ფორმები. თუ სადმე შეგვხვდება, მაშინაც ან სტილიზაციის ნიმუშია, ან კანცელარიული ელფერი დაჰკრავს და მხოლოდ მდარე სტილის ნიმუშად თუ გამოდგება. მხატვრული ეფექტი მას არ ახლავს.

არც ერთხელ არ გვხვდება აღწერითი ვნებითის ფორმები ქართული ანდაზების ენაში, რაც მეტად ნიშანდობლივია იმის საბუთად, რომ აღწერითი ვნებითი წერილობითი ენის ფაქტია. სამაგიეროდ, მას ფართოდ აქვს გზა ვახსნილი საქმიან-ოფიციალური დოკუმენტების ენაში და აქედან — პრესისა და სამეცნიერო ლიტერატურის ენაში. ამის მიზეზი კი მარტო ის არ უნდა იყოს, რომ ვნებითი გვარის ზმნათა ერთ ნაწილს (დრო-კილოთა II ჯგუფის ნაკვთებისათვის ან საერთოდ) აღარა აქვს ორგანული წარმოების ფორმები (გამოიკვლევა, მიიჩნევა, მიიღწევა...; მიივლინება, მოისმინება, გადაიტანება, ამოიღება, მოიყვანება...), ანდა აღარ გააჩნია საკუთარი ფორმები სათავისო ქცევის ფორმებთან დამთხვევის გამო (დაისახა, დაისვა, დაიშალა, გადაიწა; ჩაიწერა, გაიჩხრია და მისთ.). ამ პროცესისათვის არც სხვა ენის გავლენას უნდა ჰქონდეს გადაწყვეტი მნიშვნელობა.

განვიხილოთ, რა ვითარებაა ამ მხრივ თანამედროვე სალიტერატურო ენაში, სადაც აღწერითი ვნებითის ფორმები, ორგანული წარმოების ვნებითების მსგავსად, ფართოდ, შეუზღუდავად გამოიყენება, ზოგჯერ კი ორგანულ ფორმებზე უფრო ხშირადაც.

აღწერითი ვნებითის ფორმათა გამოყენების რამდენიმე შემთხვევა შეიძლება გამოიყოს:

1. დრო-კილოთა II ჯგუფის ნაკვთებისათვის აღწერით ფორმებს იყენებს -**ევ**-სუფიქსიანი ზოგი ისეთი ზმნა, რომელსაც საკუთარი

<sup>16</sup> ვ. თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, 1965, 88-105.

<sup>17</sup> ი.ე. ქავთარაძე, ზმნის აღწერითი ფორმების ორგანულით შეცვლის ისტორიიდან ქართულში, ივე, ტ. XIV, 1964, გვ. 173.

ორგანული ფორმები აღარ ეწარმოება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში. ასეთები მხოლოდ აღწერთი ფორმებით ივსებენ პარადიგმას: **შემჩნევა — შემჩნეულ იქნა, დაძრება — დაძრულ იქნა, გამოიკვლივა — გამოკვლიულ იქნა, დაიძლევა — დაიძლეულ იქნა** და სხვ.<sup>18</sup> პრესის ენის მასალიდან ამ შემთხვევის საილუსტრაციოდ გამოდგება შემდეგი მაგალითები:

- მიღწევა — მიღწეულ იქნა:** მიზანი მიღწეულ იქნა („სოფლ. ცხოვრ.“).
- გამოიწვევა — გამოიწვეულ იქნა:** ორგანიზმის ქსოვილებისა და ცილების ეს ცვლილებები შეიძლება გამოიწვევდეს იქნას<sup>19</sup> სხვადასხვა გარეგანი და შინაგანი ფაქტორებით („საქ. ქალი“).
- მიიწვევა — მიწვეულ იქნა:** ანსამბლი მიწვეულ იქნა საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში („კომ“).
- გაიწევა — გაწეულ იქნა:** გაწეულ იქნა დამხმარე მსალებს ეკონომია („მებრძ.“).
- შემჩნევა — შემჩნეულ იქნა:** [იგი] შემჩნეულ იქნა სხვა დანაშაულშიც („სოფლის ცხოვრ.“).
- აიჩრევა — აიჩრეულ იქნა:** [იგი] აიჩრეულ იქნა ახალ თანამდებობაზე („ლო“); მალე აიჩრეულ იქნა დოცენტად („კომ“).
- შეირჩევა — შეირჩეულ იქნა:** ყველაზე კარგი ტიპები შეირჩეულ იქნა სოფლებში — („ივრ. განთ.“).

თანამედროვე პრესის ენის მონაცემების მიხედვით სალიტერატურო ქართული ენის განვითარებას ტენდენცია ისეთი ჩანს, რომ ამგვარი ზმნების რაოდენობა იზრდება; სულ უფრო მეტი -**ევ-სუ-**ფიქსიანი ზმნა ცდილობს ვნებითის ორგანული ფორმების ნაცვლად აღწერთი ფორმების გამოყენებას.

**2. დასახელებულ ევ-სუფიქსიანთა მსგავსად იქცევა ზოგი სხვა ზმნაც, რომელთა ნამყო სრულისა და II კავშირებითის ფორმებში მხოლოდ აღწერთად იწარმოება.**

მაგალითები:

- მიივლინება — მივლინებულ იქნა:** 1973 წლის სექტემბერში ავსტრიაში მივლინებულ იქნა საბჭოთა მეტყველ-სპეციალისტების ჯგუფი („საქ. ბუნება“);
- მოისმინება (არ მოისმინება) — მოსმენილ იქნა:** პარტიულ კრებაზე მოსმენილ იქნა საკითხი პირველ-მეოთხე კლასებში მათემატიკის სწავლების შესახებ („მებრძ.“).

<sup>18</sup> თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, 1970, გვ. 207—210.

<sup>19</sup> მაგალითებში ყველგან დატულია ფორმათა დაწერილობა. აღწერთი ენების ფორმათა მართლწერის საკითხი ცალკე იქნება განხილული.

**შეისწავლება** — შესწავლილ იქნა: კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ შესწავლილ იქნა ისეთი ძეგლებიც, რომელთა მნიშვნელობა შორს სტოდლება ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს („კომ.“).

**მი-/შე-/გა-/გადა-იტანება** — მიტანილ იქნა: ერთ-ერთი მთავარი იერიში მიტანილ იქნა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაზე; („ახ. კომ.“); სასუქები შეტანილ იქნა ვენახის პლანტაციაში („მებრძ.“); საკოლმეურნეო ბაზრის ტერიტორიიდან და ქალაქის ცენტრალური ქუჩებიდან გატანილ იქნა ვაჭრობისათვის შეუფერებელი ნი-მდგ წყრილი სავაჭრო ობიექტი („მებრძ.“); სჯობია, რომ მეორე ტაიში გადატანილი იქნეს მთავალი კვირისათვის („ლელო“).

**ა-/ამო-/მი-იღება** — აღებული იქნა: რახან ეს 2 ქულა აღებული იქნა, თითქოს ვუნდის მიზანიც მიღწეულად უნდა ჩაითვალოს („ლელო“); ყველა სახის გადასახალი ამოღებულ იქნა 9 თვეში („გამარჯვ. გზა“); მიღებულ იქნა დიდძალი ზეგეგმითი დაგროვება („კომ.“); საინფორმაციო მოხსენება მიღებულ იქნა ცნობად („მებრძ.“).

**წარმოიდგინება** — წარმოდგენილ იქნა: წარმოდგენილი იქნა მუსიკალური მონტაჟი („მებრძ.“).

**იწარმოება** — წარმოებულ იქნა: 1972 წლის გეგმით გათვალისწინებულ 748 ცენტნერის მავიერ წარმოებულ იქნა 348 ცენტნერი რძე („მებრძ.“).

**გამოიყენება** — გამოყენებულ იქნა: აქაც ერთ-ერთ საბრძოლო იარაღად ყვლავ გამოყენებულ იქნა სიმღერა („ლიტ. საქ.“).

**შე-/შემო-/გა-იყვანება** — შეყვანილ იქნა: რაიკომის პირველ პლენუმზე [იგი] შეყვანილ იქნა კომკავშირის რაიკომის ბიუროს შემადგენლობაში („კომ.“); აღვანის მეცხვარეობის საჯიშე საბჭოთა მეურნეობიდან შემოყვანილ იქნა თუშურის მავიარი 500 სული 1,5 წლის შაქი („იერ. განთ.“); ამერიკისა და საიგონის ჯარები გაყვანილ უნდა იქნას კამბოჯიდან („კომ.“).

**გამოიშვება** — გამოიშვებულ იქნა: გამოიშვებულ იქნა 2210 ტონა შხა პროდუქცია („მებრძ.“).

**იცნობა** — ცნობილი იქნა: ჩვენი ფერმა ცნობილი იქნა გამარჯვებულად („ახ. ცხოვრ.“).

**განხილება** — განხილულ იქნა: აღნიშნულ წებრლში დასმული ცალკეული საკითხები განხილულ იქნა შესაბამისი რაიკომისკომებისა და ორგანიზაციების მიერ („კომ.“); პოეზიის სექციის მთლიან სხდომაზე განხილულ იქნა... ახალი ლექსების კრებულები („ლიტ. საქ.“).

აღწერითი ფორმები ზემოთ ჩამოთვლილი ინიანი ვნებითების აღმყო-მყოფადის ფორმათა შესატყვის ნამყო სრულის (ან II კავშირებითის) პარადიგმად უნდა გაევიგოთ, რაკი თანამედროვე ქართულში მათი ორგანული წარმოების შესატყვისები (მოივლინა, მოიხმინა, შეისწავლა, გადაიტანა, ამოიღო, წარმოიდგინა, იწარმოა, გამოიყენა, შემოიყვანა, გამოიშვა, იცნო, განხილა და მისთ.) თითქმის აღარ იხპარება.

3. სხვა შემთხვევებში აღწერითი ვნებითის ფორმაში სახელად ნაწილიდ რთული ან უცხო (-იზ/-ირ-სუფიქსებიანი) სიტყვისაგან



ნაწარმოები მიმღობის ფუძეა, რის გამოც ორგანული წარმოება მოუხერხებელია.

მაგალითები:

ა. სახელადი ნაწილი რთული სიტყვაა: უზრუნველყოფილ უნდა იქნას წყალატრევის, ნიადაგის და ჰერის შხამქიმიკატების დაბინძურებისაგან(!) დაცვა („ახ. ცხოვრ.“); ფიდეს პრეზიდენტ მ. ეივსთან შეთანხმებით ასეთვე მისი პრატესტი, რომელიც მეთხთმეტე პარტიის წინ შეიქმნა, აგრეთვე უარყოფილ იქნა („კომ.“); [ვეორგაიესკვი] ხელმოწერილ იქნა ცნობილი ტრაქტატი („სოფ. ცხოვრ.“) და სხვ.

ბ. სახელადი ნაწილი უცხო სიტყვიდანაა ნაწარმოები: საამისოდ კონსტრუირებულ იქნა ახალი სტენდური ლითონის ფორმა („ახ. კომ.“); დანარჩენი რეალიზებულ იქნება საკოლმეურნეო ბაზარზე გატანით („ახ. ცხოვრ.“); რეალიზებულ იქნა 363 ათასი მანეთის პროდუქცია („კომ.“); კომისიამ დაადგინა ანუღორებულ იქნას მატრის ანგარიში („ლელო“); საქართველოში პირველი სახალხო უნივერსიტეტი მეფრინველეობის სპეციალობით ორგანიზებულ იქნა 1969 წელს თბილისის მეფრინველეობის ფაბრიკაში („კომ.“); დისკვალიფიცირებულ იქნა ორი ძალისანი, თითო მოცურავე („ლელო“) და სხვ.

4. ცალკე უნდა გამოიყოს აღწერითი ვნებეთის ფორმათა ხმარების ისეთი შემთხვევები, როცა ზმნას შესაბამისი ორგანული ინიანი ფორმებიც თავისუფლად ეწარმოება, პრესის ენა კი უპირატესობას აძლევს აღწერით ფორმას.

მაგალითები:

იხანება — დასახულ იქნა (დაიხანა): რაიკომის ბიუროს დადგენილებით დასახულ იქნა გადამჭრელი ღონისძიებანი („კომ.“); თათბირზე დასახულ იქნა განყოფილების პირადი შემადგენლობის ამოცანები 1973 წლისათვის („მებრძ.“).

მოიხსნება — მოხსნილ იქნა (მოიხსნა): ეს რეკორდიც მოხსნილ იქნა („ლელო“).

დაიშლება — დაშლილ იქნა (დაიშალა): სპეციალისტების მონაწილეობით დაშლილ იქნა რკინის საღარო („კომ.“).

მოიხსნება — მოხსნილ იქნა (მოიხსნა): ეს რეკორდიც მოხსნილ იქნა („ლელო“) რიტორია („მებრძ.“).

გამოიყოფა — გამოყოფილ იქნა (გამოიყო): სამეურნეო მაღაზიათა ფილიალები გამოყოფილ იქნენ ცალკე დამოუკიდებელ ობიექტად („მებრძ.“) და მისთ.

5. ასეთი ვითარებაა არა მარტო ინიანი ვნებთებების მიმართ, არამედ დონიანთა მიმართაც. თანაც, ინიანთათვის თუ სათაფისო ქცევის ფორმებთან დამთხვევა შეიძლება ჩაითვალოს მიზეზად, დონიანთათვის ასეთი საფუძველი აღარ არსებობს.

მაგალითები:

**შესრულებულ იქნა — შესრულდა:** განკარგულება შესრულებულ იქნა („საქ. ბუნება“); შესრულებულ იქნა სიმღერები, ცეკვები („იერ-განო.“); 1971 წელს მათ მიერ შესრულებულ იქნა 34,2 ათასი მანეთის სამუშაოები („მებრძ.“).

**ჩატარებულ იქნა — ჩატარდა:** გასული წლის ოქტომბერში ჩატარებულ იქნა დათვალიერებების ერთთვიური („მებრძ.“).

**გატარებულ იქნა — გატარდა:** ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად გატარებულ იქნა ღონისძიებები („მებრძ.“).

**გაშენებულ იქნა — გაშენდა:** 20 ჰექტარზე გაშენებულ იქნა საძირე ვახის სადედე („მებრძ.“).

**დაარსებულ იქნა — დაარსდა:** დაარსებულ იქნა წიგნსაცავი, სადაც შეკრიბეს ძველი ბერძნული ხელნაწერები („ლიტ. საქ.“).

**აღმოჩენილ იქნა — აღმოჩნდა:** ზოგიერთ რაიონში აღმოჩენილ იქნა ნავთობის საბადოები („კომ.“); ხელოვნური ქვის კედლის ქვეშ აღმოჩენილ იქნა მდიდრული საფლავი („ახ. კომ.“).

**გაანალიზებულ იქნა — გაანალიზდა:** აგრეთვე გაანალიზებულ იქნა გონოუფენებელი რეზერვები („მებრძ.“).

**გამოსწორებულ იქნა — გამოსწორდა:** ზოგიერთი მექანიკური უზუსტობანი გამოსწორებულ იქნა („მებრძ.“).

**დამუშავებულ იქნა — დამუშავდა:** დამუშავებულ იქნა რიგთაშორისები („ახ. ცხოვრ.“).

**განზოგადებულ იქნა — განზოგადდა:** განზოგადებულ იქნა პირველ-მეოთხე კლასების მათემატიკის მასწავლებლების მუშაობა („მებრძ.“).

**გარემონტებულ იქნა — გარემონტდა:** ვარემონტებულ იქნა საწოლო ოთახები („ახ. ცხოვრ.“).

**განხორციელებულ იქნა — განხორციელდა:** გორკის ქუჩაზე განხორციელებულ იქნა... მრავალსართულიანი სახლის გადაადგილება („კომ.“).

**შემოწმებულ იქნა — შემოწმდა:** შემოწმებულ იქნა პირტუყვის საზამთრო სადგომები („კომ.“).

**გაკეთებულ იქნა — გაკეთდა:** ვაკეთებულ იქნა განცხადება („საქ. კომ.“).

**დადგინილ იქნა — დადგინდა:** დადგინილ იქნა შეფასების ნორმები („სახ. გან.“) და სხვ.

მაგალითების რაოდენობის გაზრდა დაუსრულებლად შეიძლება, ვინაიდან ჩვენი თანამედროვე პრესის ენაში ამ მხრივ რაიმე შეზღუდვა არ არსებობს.

მაშასადამე, სალიტერატურო ენას აქვს შესაძლებლობა საჭიროებისამებრ გამოიყენოს სათანადო ზმნათაგან ვნებიანების ორგანული წარმოების ფორმები (ინიანი ან დონიანი). მაგრამ მათ ვერძლით ოფიციალური სტილისათვის დაუბრკოლებლად და შეუზღუდველად იყენებენ ამ ზმნათა აღწერით ფორმებსაც.

6. თანამედროვე პრესის ენაში აღწერითი ვნებითის ფორმების გამოყენების შემთხვევათა დიდი წილი აქტიური მოქმედების აღმნიშვნელია და ამიტომ მათ მაგივრად აქტიური ზმნების (და შესაბამი-

სად აქტიური კონსტრუქციების გამოყენების ბუნებრიობა უფრო საგრძნობია.

მაგალითები:

მცხეთის რაიონში დაკავებულ იქნა... სატივრო მანქანა ციტრუსოვანთა ნაყოფთ („კომ.“); დაბატიმრებულ იქნა დიფერსიული ჭვუფი („კომ.“); საბჭოთა ჭარების ზურგში გადმოსროლილ იქნა ჭაშუშთა ჭვუფი („კომ.“); მრეწველობას ყველა დარგის წინაშე დაყენებულ იქნა ამოცანა („საბჭ. ხელ.“); თათბირზე წამოყენებულ იქნა კონკრეტული წინადადებანი („ივრ. ვანთ.“); გადაყენებული იქნა დაკავებული თანამდებობიდან („კომ.“); გასულ წელს სტუდენტთა შორის ჩადენილ იქნა ისეთი მძიმე დანაშაული, როგორცაა მკვლელობა („ს.კ. და ცხოვრ.“) და სხვ.

**დაკავებულ იქნა (მანქანა), დაბატიმრებულ იქნა, გადმოსროლილ იქნა, დაყენებულ (წამოყენებულ, გადაყენებულ) იქნა** და ამგვარები სხვა ენიდან პირდაპირ გადმოთარგმნის შედეგად უფრო უნდა იყოს ქართულ ენაში შემოსული, ვიდრე მხოლოდ შინაგანი მოთხოვნებისა და საჭიროების გამო წარმოქმნილი. ასეთ შემთხვევაში ფორმისა და ფუნქციის შეუხამებლობა მართლწერაში იჩენს თავს. როგორც მაგალითები გვიჩვენებს, აღწერით ფორმაში შემავალი მიმღეობა ხან ფუძით, ხან სახელობითი ბრუნვით არის წარმოდგენილი. დგება ამგვარი აღწერითი ფორმების გრამატიკული კვალიფიკაციისა და სალიტერატურო ენაში მათი მართლწერისა და სწორად გამოყენების საკითხიც.

როგორც ვხედავთ, თანამედროვე სალიტერატურო ენის ზოგ სფეროში აღწერითი ვნებითის ფორმების გამოყენების არე საკმაოდ ფართოა. შესაძლებელ ორგანული წარმოების ფორმებთან უპირატესობა ზმირად აღწერით ფორმებს ეძლევა, რაც მათი სემანტიკითაც არის შეპირობებული. აქ იჩენს თავს სემანტიკური სხვაობა ორგანულ და აღწერით ფორმებს შორის. აღწერითი ვნებითის ფორმას მეტი შესაძლებლობა უჩანს — გამოიყენებოდეს აქტიურ ზმანათა მაგივრად, თუშეცა პასიურობის სემანტიკაც და მისი ფორმალური ნიშნებიც მასში მეტია (მიმღეობა ვნებითი გვარისა და მეშველი ზმნა ინიანი ვნებითის ფორმით). ამის მიზეზი კი ძირითადად ის უნდა იყოს, რომ აღწერით ფორმაში რეალური სუბიექტის მონაწილეობა უფრო აშკარაა, წინადადების კონსტრუქციაში რამენაირი ფორმით კიდევ რომ არ იყოს წარმოდგენილი (მეგრ ან -გან-თანდებულისანი ნათესაობითით, ინსტრუმენტალისით). ორგანული წარმოების ვნებითები (ინიანი, დონიანი) სხვა სემანტიკური ნიუანსებითაც არის დატვირთული (ჩვეულებითობა, გარდაქვევითობა, დაწყებითობა), აღწერითი ვნებითი კი ასეთი ნიუანსებისაგან თავისუფალია. რაკი ბრესის ენა საზოგადოდ პასიურ ფორმებს აძლევს უპირატესობას ამა თუ

იმ ფაქტის გადმოსაცემად, ინფორმაციის მოსაწოდებლად, იგი ირჩევს უფრო „ნამდვილ პასივს“, რომელიც უფრო მეტად შეესაბამება აქტიურ ფორმას თუნდაც იმით, რომ მისი ნამდვილი კონვერსიულია. ამის გამო თვით ზმნის სემანტიკა გამორიცხავს კონსტრუქციას იორგანული ფორმის გამოყენებას და მხარს უჭერს აღწერით წარმოებას. მაგალითები:

გმობობისა და მამაცობისათვის იგი დაჯილდოვებულ იქნა დიდების, სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენებითა და მედლებით („სკ. და ცხოვრ.“); თანამდებობიდან განთავისუფლებულ იქნა კომბინატის დირექტორის ხოლო პარტიუროს მდივანს სასტიკი საყვედური გამოეცხადა („კომ.“); მათი ფხიზელი და ოპერატიული მოქმედების შედეგად გამოიქვანებულ იქნა სახელმწიფო ქონების დამტაცებელთა ერთი ჯგუფი („კომ.“); 1917 წლის ოქტომბერში პირველად კაცობრიობის ისტორიაში მსოფლიოს უდიდეს ქვეყანაში დასაპარებულ იქნა ექსპლოატატორული წყობილება („კომ.“); კვების უკეთეს პირობებში თუშური ჯიშის ცხვარში არის იმის შესაძლებლობა, რომ გაზრდილ იქნას როვორც ცოცხალი წონა, ისე მატყლის სიგრძე („ივ. განთ.“); ეს თვისება შეიძლება დახასიათებულ იქნას როგორც ემოციური გულქვაობა („კომ.“).

გამოთქმებში — დაჯილდოვებულ იქნა, განთავისუფლებულ იქნა, გამოიქვანებულ იქნა, დასაპარებულ იქნა, გაზრდილ იქნეს, დახასიათებულ იქნეს... გახაზულია უფრო მეტად ის, რომ დააჯილდოვეს, გაათავისუფლეს, გამოამუქვანეს, დახასიარეს..., უნდა გაზარდონ, დახასიათონ... (და არა: დაჯილდოვდა, გაათავისუფლდა, გამოიქვანდა, დასაპარდა, გაიზარდა, დახასიათდა...) პრესის ენის სპეციფიკურობის გამო ამას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება.

აღნიშნული იყო, რომ აღწერითი ენებითის შემცველ კონსტრუქციასში ხშირად რეალური სუბიექტი ირიბი ბრუნვებით არის წარმოდგენილი ორგანული წარმოების ენებითიან კონსტრუქციათა მსგავსად. ოღონდ, თუ რეალური სუბიექტისთვის სხვა შემთხვევებში მიერ და -გან-თანდებულისა და ინსტრუმენტალისის ფუნქციის მქონე მოქმედებითი ბრუნვის ფორმები თანაბრად გამოიყენება, აქ უპირატესობა ეძლევა მიერ-თანდებულისა და ინსტრუმენტალისის. ამაშიც ჩანს აღწერითი ფორმებით გამოხატული მოქმედების აქტიურობა.

მაგალითად:

სამი მოქალაქის მიერ დაკავებულ იქნა ვინმე ქ. („კომ.“); სადგურ ინგორში ჩვენ მიერ დაკავებულ იქნა ოთხი არასრულწლოვანი (მებრძ.“); მთის ქანების აფეთქება შესრულებულ იქნა განსვენებული გამალ აბდელ ნასერის მიერ („კომ.“); ნაწილის მეთაურის მიერ გაშვებულ იქნა მოკლევადიან შევებულბაში („წინსვლა“); პოემა შესრულებულ იქნა პრადის რადიოს საფონოური ორკესტრის მიერ („ცისკარი“); პირველი ბურთი გატანილ იქნა თამაშის 28-ე წუთზე მაკგრატის მიერ („კომ.“); შემოღებულ იქნა კანტის მიერ (უფ სკოლაში“); ბრიგადირების მიერ აღებულ იქნა ახალი ვალდებუ-

ლებები („მებრძ.“); თათბარის მიერ მიღებულ იქნა რეზოლუცია („საბჭ. მდიც.“).

საზოგადოდ, როცა ვნებითის შემცველ კონსტრუქციაში არის მოქმედების რეალურად ჩამდენზე მითითება ირიბი ბრუნვით, ქართულისათვის მით უფრო ნათელია მისი (ამ კონსტრუქციის) არაბუნებრიობა და აქტიური კონსტრუქციის საჭიროება. თანამედროვე პრესის ენაში ორგანული წარმოების ვნებითების გამოყენებასთან დაკავშირებით მიღებული ეს დასკვნა ნაწილობრივად ძალაში რჩება აღწერითი ვნებითის ფორმებთან დაკავშირებითაც. მაგრამ აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ აღწერით ვნებითთან უფრო მოსალოდნელია ასეთი პირის წარმოდგენა, რადგან მისი არსებობა და მონაწილეობა მოქმედების პროცესში ამ დროს უფრო საგრძნობია. ამიტომაც რეალურსუბიექტიანი (**აშენებულ იქნა მის მიერ**) აღწერითი ვნებითის შემცველი კონსტრუქცია უფრო ასატანია, ვიდრე ორგანული ვნებითის რეალურსუბიექტიანი კონსტრუქცია (**აშენდა მის მიერ, დაიწერა მის მიერ**).

პრესის ენაში აღწერითი ვნებითის მოხშირებაც საერთო ტენდენციის გამოხატულებაა. საერთოდ, პრესის ენაში ვნებითური (პასიური) კონსტრუქციების მოჭარბების შედეგია აღწერითი ვნებითის ფორმათა ხშირი ხმარებაც. მაგრამ ისინი ბუნებრივ და აუცილებელ ფორმებად ჩაითვლება მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როცა შესაბამისი ზმნის პარადიგმის ნაწილად გვევლინება (**გამოიყენება — გამოყენებულ იქნა, შეიმჩნევა — შემჩნეულ იქნა** და მისთ.). სხვა შემთხვევებში პრესის ენის მასალის მიხედვით უფრო ბუნებრივია აქტიური ფორმების გამოყენება.

აღწერითი ფორმები ვნებითისა და, მათთანადავ, მათი მონაწილეობით შედგენილი პასიური კონსტრუქციები — როგორც გრამატიკული, ისე სტილისტიკური თვალსაზრისით — მიუღებელ ფორმებად არის შეფასებული სპეციალურ ლიტერატურაში<sup>20</sup>. მაგრამ ასეთი ფორმებისა (და შესაბამისად კონსტრუქციების) ნორმატიულობა-ანონორმატიულობის შესახებ დასკვნის გაკეთება სამეცნიერო ლიტერატურის ენის მონაცემების გათვალისწინებით უფრო მოსაზრებელია გახდება.

\* \* \*

სამეცნიერო ლიტერატურის ენაში აღწერითი ვნებითის ფორმათა გამოყენება უფრო ხშირია. აქ კი, სხვა მიზეზებთან ერთად, მნიშვნელოვან როლს უნდა ასრულებდეს თარგმნის დროს სხვა ენის გა-

<sup>20</sup> გ. შალამბერძე, მეტყველების კულტურის საკითხები, 1964, გვ. 12; მ. ს. გ. უტაბუხი და უმწარესი, 1968, გვ. 40.



ვლენაც ეს პროცესი პრესის ენის ფაქტების ახსნის დროსაც გასათვალისწინებელია, მაგრამ იგი სამეცნიერო ლიტერატურის ენაში ჟღერო მძლავრად მოქმედი ფაქტორი ჩანს. სხვა ენის პასიურ კონსტრუქციითა და უკუქცევითი სემანტიკის გადმოსაცემად აღწერითი ვნებითის ფორმა მოხერხებული აღმოჩნდა.

მეორე მხრივ, თვით სამეცნიერო ლიტერატურის სპეციფიკა, ობიექტურ სინამდვილესთან მისი დამოკიდებულების თავისებურება განაპირობებს აღწერითი ვნებითის ფორმათა გამოყენების უპირატესობას ორგანული წარმოების ვნებითის ფორმებთან და ზოგჯერ თვით აქტურ ფორმებთან შედარებით.

ანგვარად, პრესის ენის მსგავსად სამეცნიერო ლიტერატურის ენაშიც ხშირია აღწერითი კონსტრუქციების გამოყენება: აქაც: 1. აღწერითი ფორმები ერთადერთი და შეუცვლელია ნამყო სრულში, როცა ზმნის სათავისო ქცევისა და ინიანი ვნებითის ფორმები ომოფორმულია და ამის გამო სალიტერატურო ენამ თვით თქვა უარი ვნებითის ორგანულ ფორმაზე.

მაგალითები:

გამოკვეთულ იქნა არეკლისა და გამტარებლობის კოეფიციენტების დამოკიდებულება („მოამბე“); ასეთი საბადოები მიკვლეულ იქნა ესპანეთსა და ციმბირშიც „მეცნ. და ტექნ.“; ...მიკვლეულ იქნა თანამედროვე გიგანტური ტელესკოპების მეოხებით (ასტრ.); არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველ შემადგენლობაში („მეცნ. და ტექნ.“); საბოლოოდ არჩეულ იქნა საესეზო გარკვეული ეტალონები (ფიზ.); გამოგონებულ იქნა ნაწერი ქაღალდზე დამავრების ორიგინალური ხერხი („მეცნ. და ტექნ.“); ეს პერსპექტიული მასალა გამოყენებულ იქნა მშენებლობაში („მეცნ. და ტექნ.“); დარჩენილი 30 ასლიდან ორი დატოვებულ იქნა საერთაშორისო ბიუროში (ფიზ.); ლურსმული წარწერა წაკითხულ იქნა („მეცნ. და ტექნ.“); დროთა ვითარებაში მივიწყებულ იქნა („მეცნ. და ტექნ.“); შესწავლილ იქნა ამიზილის გავლენა („მოამბე“); იგი მიღებულ იქნა მეტრის საერთაშორისო ეტალონად (ფიზ.).

2. პრესის ენის მსგავსად აქაც ზოგჯერ უპირატესობა ენიჭება აღწერით ფორმებს ინიან და დონიან ფორმებთან შედარებით.

მაგალითები:

ა) ამატ საფუძველზე ახსნილ იქნა ისეთი დაკვირვებული ასტრონომიული პროცესები, რომლებიც კვალსა აჩნევს მნათობთა სპექტრებს (ასტრ.); დიდი კავკასიონის... ნალექებში გამოყოფილ იქნა სულფიდური კატაგენეტური კონკრეციების ჯგუფი („მოამბე“); ამჯერად პრობლემის გადაწყვეტა მონახულ იქნა („მეცნ. და ტექნ.“); [გამოთვლითი პიბრიდული კომპლექსი] დანერგილ იქნა საავიაციო მრეწველობაში („მეცნ. და ტექნ.“); განსაზღვრულ იქნა დედამიწა-ნის მანძილის ზუსტი მნიშვნელობა (ასტრ.) და სხვ.

დასახელებულ შემთხვევებში ი-პრეფიქსიანი ვნებითის ფორმების გამოყენება შეიძლებოდა (აიხსნა, გამოიყო, მოინახა, დაინერგა, ვანისაზღვრა და მისთ.), მაგრამ სამეცნიერო სტილი ამჯობინებს აღწერითი ფორმების გამოყენებას.

ბ) სხვაგან აღწერითი ვნებითი გამოყენებულა შესაძლებელი -დ-სუფიქსიანი ფორმის ადგილას:

შეწყვეტილ იქნა ამიერიდან მათეთრა თიხების იმპორტი („მეცნ. და ტექნ.“); ჩატარებული ცდების შედეგად გამოვლენილ იქნა აღნიშნული სახის მსუბუქი შემსგებნის მისაღებად რუსთავეის თბოელექტროსადგურის ნაცრის ვარგისობის საკითხი („მეცნ. და ტექნ.“); მათემატიკური მოდელის საფუძველზე ჩატარებულ იქნა ექსპერიმენტები („მეცნ. და ტექნ.“); ამისათვის დამზადებულ იქნა არქივული მეტრის 31 ასლი, რომლებიც შედარებულ იქნა ერთმანეთთან და არქივულ მეტრთან (ფიზ.); სტატია გამოქვეყნებულ იქნა სპეციალურ რადიოჟურნალში („მეცნ. და ტექნ.“); იმყამად დადგენილ იქნა მსოფლიოს ფაქტი, რომ პერსეპოლისის სასახლის ლურსმული წარწერები ტრილინგვია („მეცნ. და ტექნ.“).

**შეწყდა, გამოვლინდა, ჩატარდა, დამზადდა, გამოქვეყნდა, დადგინდა** და მისთანანიც ჩვეულებრივად არსებობენ ენაში. მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურის სტილში ხშირად აღწერითი ფორმების გამოყენებას ეძლევა უპირატესობა. **შეწყვეტილ იქნა, გამოვლენილ იქნა, ჩატარებულ იქნა** და მისთ. ფორმებში განსაკუთრებით კარგად და ნათლად იგრძნობა, რომ მოქმედება თავისით კი არ ხდება, არამედ მოქმედების რეალური ჩამდენი ვარეშე პირია; ე. ი. კი არ **შეწყდა** თავისით, არამედ ვილაცამ **შეწყვიტა**; თავისთავად კი არ **გამოვლინდა**, არამედ ვილაცამ **გამოავლინა** და ა. შ.; ცდა კი არ **ჩატარდა** თავისთავად, არამედ **ჩატარებულ იქნა**, რაკი აქ ადამიანის მიერ დაყენებულ ცდებთან გვაქვს საქმე.

როგორც დასახელებული მაგალითებიდან ნათელია, პრესისა და სამეცნიერო ლიტერატურის ენა მასალობრივად (ლექსიკურად) ამ მხრივ დიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ეს არც იყო მოსალოდნელი, ვინაიდან ორივე სფეროში თითქმის ერთნაირია ობიექტურ სინამდვილესთან დამოკიდებულება და ერთნაირად აისახება საერთო სალიტერატურო ქართული ენის განვითარების ტენდენციები; ოღონდ განსხვავებული ჩანს ენობრივ საშუალებათა გამოყენების მიზანდასახულობა და მათ შორის აღწერითი ვნებითის ფორმათა სტალისტიკური დანიშნულებაც. კერძოდ, პრესის ენაში აღწერითი ვნებითები, ისევე როგორც ორგანული წარმოების ვნებითები, ძალზე ხშირად აქტიური მოქმედების აღსანიშნავად (უფრო მეტად განზოგადებულსუბიექტიანი ფორმების ნაცვლად) გამოიყენება და მათი მონაწილეობით პასიური კონსტრუქციები ქართული ენის ბუნებისათვის უჩვეულო ჩანს. უფრო ზუსტად, ისინი მარტივი ინფორმაციი-

საოჯის თუ შესაძლებელია, უფრო ვრცელ მიმოხილვაში (ნარკვევით, ჩანახატში...) ან სხვა ქანრის ფართო წერილობით ინფორმაციაში შეუფერებელია, ვინაიდან გაზეთის ენის სპეციფიკურობის გამო მოქმედების რეალურად შემსრულებლის (ჩამდენის) ხაზგასმაც აუცილებელია. ამისთვის კი აღწერითი ვნებითის ფორმებიც არაა საკმარისი 'და უფრო შესაფერისია კონსტრუქციები აქტიური ზმნების მონაწილეობით.

რაც შეეხება სამეცნიერო ლიტერატურის ენას, მასში, ყურადღება უმეტესად ობიექტური სინამდვილის კონკრეტულ ფაქტზეა გამახვილებული (ამიტომაცაა ვნებითის ფორმები მოსახერხებელი) და შესაბამისად რეალური სუბიექტის როლიც უმნიშვნელო ხდება. ამის გამო ერთი და იგივე ფორმა აღწერითი ვნებითისა ნამდვილ პუბლიცისტურ მასალაში უფრო თვალში საცემია და არაბუნებრივი, ვიდრე სამეცნიერო სტატიასა თუ მონოგრაფიულ ნაშრომში. და მაინც, მხოლოდ მოცემული კონტექსტის შინაარსისა და მიზანდასახულობის გათვალისწინებით შეიძლება გადაწყდეს აღწერითი ფორმების ბუნებრიობა-არაბუნებრიობის, მიზანშეწონილობისა და ნორმატიულობის საკითხი. არანაკლები მნიშვნელობისაა თვით სინამდვილის გადმოსაცემი ფაქტიც, რომელსაც მოუდის ლოგიკური მახვილი. ამის გათვალისწინებით, ერთი მხრივ, **შეუდარდა, დასახელდა** და მისთ. ფორმების არაბუნებრიობა (ხელოვნურობა) ნათელია **შედარებულ იქნა, დასახილვებულ იქნა** (მით უმეტეს — **შეადარეს, დაასახელეს**) ფორმებთან შეპირისპირებით; მეორე მხრივ, უადგილო ჩანს **მოსვობილ იქნა, ჩადენილ იქნა** და მათი მსგავსი ფორმები **მოსპეს (მოისპო), ჩაიდინეს** ფორმათა მაგივრად:

ანაირად მოსვობილ იქნა [შდრ. მოისპო. აკობებდა: აღმოიფხვრა] ჩამორჩენა ბუნებრივი წელთაღრიცხვის მიმართ (ასტრ.); გასულ წელს სტუდენტთა შორის ჩადენილ იქნა [შდრ. სტუდენტებმა ჩაიდინეს] ისეთი მძიმე დანაშაული, როგორცაა მკვლელობა („სკ.“ და ცხოვრ.“).

სამეცნიერო ლიტერატურის ენაშიც, ისევე როგორც პრესის ენაში, აქტიური ზმნის გამოყენებაა აუცილებელი და ბუნებრივი, თუკი ლოგიკური მახვილი კეთდება მოქმედების ჩამდენზე (შემოქმედზე). მაგ:

დ. უზნაძის და მისი სკოლის მიერ ექსპერიმენტულად დადგენილ იქნა განწყობის ფსიქოლოგიის საფუძვლები („მეცნ. და ტექნ.“).

ასეთ შემთხვევაში ბუნებრივი იქნებოდა აქტიური ზმნის გამოყენება და კონსტრუქციის ასე გამართვა: დ. უზნაძემ და მისმა სკოლამ ექსპერიმენტულად დაადგინეს განწყობის ფსიქოლოგიის საფუძვლები.

მაგრამ ამით გვერდით სამეცნიერო ლიტერატურასა და პრესა-შიც, სამეცნიერო თემებზე დაწერილ წერილებში, სრულიად ბუნებრივი და ნორმალური ჩანს აღწერითი ვნებითების ხმარება ისეთ კონტექსტებში, როცა თვით სინამდვილის ფაქტია ყურადღების ცენტრში და მხოლოდ მასზე ხაზგასმია აუცილებელი გამონათქვამის მიზანდასახულობის შესაბამისად. ასეთ შემთხვევებში ვნებითის ორგანული ფორმის (კიდევაც რომ ჰქონდეს ზმნას ასეთი შესაძლებლობა) ან განზოგადებულსუბიექტიანი აქტიური ზმნის გამოყენებას სტილისტიკურად აღწერითი ფორმის გამოყენება ჯობს. სამეცნიერო სტილში მონახულ იქნა პრობლემის გადაწყვეტა, დაწერა იქნა მეთოდი, დადგენილ იქნა ფაქტი, დამზადებულ იქნა ასლი და მისთ. უფრო ბუნებრივი და შესაფერისია კონტექსტის შინაარსისათვის, ვიდრე სხვა სახის მეტყველებაში, თუმცა რიგ შემთხვევაში მათ თავისუფლად შეენაცვლება ორგანული **მოინახა, დაინერგა, დადგინდა, დამზადდა...** ან აქტიური **მოინახეს, დანერგეს, დადგინეს, დამზადეს...** ფორმები. მაგალითისათვის შევადაროთ ასეთი წინადადებები:

1. ამჯერად პრობლემის გადაწყვეტა მონახულ იქნა (სამეცნიერო თემა).

2. დაკარგული ჩანთა მალე მონახულ იქნა (იგულისხმება საყოფაცხოვრებო თემა).

ამ მაგალითების მარტივი შეპირისპირებდანაც ჩანს, რომ პირველ შემთხვევაში აღწერითი ფორმა შედარებით ბუნებრივია, მეორე შემთხვევაში კი ორგანული წარმოების (პასიური **მოინახა** ან აქტიური **მოინახეს**) ფორმია უფრო შესაფერისი.

სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინოლოგიური მნიშვნელობით ფართოდ გამოყენებული და სხვახასიათის მასალაშიც საკმაოდ გავრცელებულ -**ირ** და -**იზ**-სუფიქსებიანი (აბსტრაქტირება, აბსორბირება, ადმინისტრირება, ადსორბირება, ასოცირება, ასფალტირება, ბლოკირება, დაფიქსირება, დემონსტრირება, კონსერვირება..., ავტომატიზება, ამორტიზება, დემობილიზება, ორგანიზება და მისთ.) ფორმებისაგან უმეტესად მხოლოდ აღწერითი ვნებითის ფორმებია შესაძლებელი და სათანადო შემთხვევებში მხოლოდ ეს ფორმები იხმარება. მაგ.:

მართვის სისტემა სოფლის მეურნეობის წარმოებისათვის მოდიფიცირებული იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კაბერეტეის ინსტიტუტში (შტეტ. და ტექნ.): 1944 წელს... რევისტირებულ იქნა მზის გამოსხივება (ასტროფ.).

ასეთი ფუძეებისაგან პოტენციურად მხოლოდ -დონიანი ვნები-  
თების წარმოება ხერხდება, მაგრამ ნამყო სრულის ფორმა ყველას  
როდი გააჩნია. ამგვარ შემთხვევებში უფრო მოსახერხებელი აღმო-  
ჩნდა აღწერითი ვნებითის ფორმა. ასე მივიღეთ თანამედროვე სალი-  
ტერატურო ქართულში დიდი წყება აღწერითი ვნებითებისა, რომე-  
ლთაც საფუძვლად დაედო სათანადო ვნებითი გვარის მიმღებობები:

ა) -ირ-სუფიქსიანი ფორმები:

ასოციირებული, ასფალტირებული, ბალანსირებული, ბლოკირე-  
ბული, დემონსტრირებული, დეფორმირებული (ფორმირებული),  
დეზინფორმირებული (ინფორმირებული), დისოციირებული, დიფე-  
რენცირებული, ელექტროფიცირებული, ვიბრირებული, ინფიცირე-  
ბული (დეზინფიცირებული), კალკირებული, კვალიფიცირებული,  
კონსერვირებული, კონცენტრირებული, ლიკვიდირებული, პრემირე-  
ბული, რადიოფიცირებული, რეგისტრირებული, რეკონსტრუირებუ-  
ლი, უნიფიცირებული, ფალსიფიცირებული, ფიქსირებული, ფონდი-  
რებული და სხვ.

აქედანაა მიღებული შესაბამისი აღწერითი ვნებითები: დემო-  
ნსტრირებულ, დეზინფორმირებულ, ელექტროფიცირებულ, კალკი-  
რებულ, ლიკვიდირებულ, პრემირებულ, რეგისტრირებულ... იქნა.

ბ) -იზ-სუფიქსიანი ფორმები:

ავტომატიზებული, ამორტიზებული, ორგანიზებული (დეზორგა-  
ნიზებული); მობილიზებული (დემობილიზებული), ცენტრალიზებული  
(დეცენტრალიზებული)... მათგან იწარმოება სათანადო აღწერითი  
ვნებითები: ავტომატიზებულ, ამორტიზებულ, ორგანიზებულ, მობი-  
ლიზებულ, ცენტრალიზებულ... იქნა.

თუმცა დასახელებული ფუძეებისაგან როგორც ორგანული, ისე  
აღწერითი ვნებითების ფორმებს ხელოვნურობის იერი დაჰკრავს, სა-  
მეცნიერო-ლიტერატურის ენაში მათი გამოყენება ხშირად აუცილე-  
ბლობით არის ნაკარნახევი, რათა აზრი უფრო ცხადი და ზუსტი  
იყოს. აღწერითი ფორმები სამეცნიერო ენის ამ მოთხოვნას ორგა-  
ნულ ფორმებზე უკეთ უპასუხებენ. ტერმინოლოგიური მნიშვნელობა  
მიმღებობაში უკეთ არის შენარჩუნებული.

-იზ, -ირ-სუფიქსებიანი ფორმები უფრო ოფიციალურ-სამეცნიე-  
რო სტილისათვის არის დამახასიათებელი. შედარებით ბუნებრივი  
ფორმების მქონე პრესის ენამ კი ასეთ შემთხვევაში სასურველია  
უცხო სიტყვას ან უცხოური სუფიქსით გაფორმებულ სიტყვას თავი  
აარიდოს, თუკი არსებობს საამისო საშუალება და მათი ხმარება აუ-  
ცილებლობით არ არის შეპირობებული.



აღწერითი ვნებიტის გრამატიკული მნიშვნელობა, როგორც აღნიშნული იყო, ნაწილობრივად მიმდებარის ფორმიდანაც ჩანს: მიმდებარეობა წარსული დროისაა, ვნებითი გვარისა და ზმნისწინიანი, რასაც მომენტურობისა და ასპექტის გრამატიკული მნიშვნელობანიც ახლავს. იქნა ზმნის ნამყო ძირითადს უკავშირდება გრამატიკული მნიშვნელობები: 1. ვნებითობისა, 2. პირისა და რიცხვისა (თუმცა აღწერითი ვნებიტის ფორმა დაცლილია ამ კატეგორიითა გაგებისაგან), 3. დროისა, 4. ასპექტისა და 5. სტატიკურობისა.

II კავშირებითის იქნეს ფორმა აღწერით ვნებიტს აძლევს კატეგორიულობის, შესაძლებლობის, სასურველობის, აუცილებლობის მოდალურ სემანტიკას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში დღევანდლამდე არ არის დაცული იქნეს ფორმის მართლწერის ერთგვარობა: სამეცნიერო ლიტერატურის ენაში გვაქვს იქნეს ფომა, ზრცის ენა კი იქნას ფორმის აძლევს უპირატესობას. იქნეს/იქნას ფორმათა პარალელუზმის საკითხი იდგა ძველ ქართულშიც<sup>21</sup>. ახალ ქართულსაც ასეთი პარალელური ზმარება ამ ფორმებისა იმთავითვე დაჰყვა და საჭირო გახდა ქართული ორთოგრაფიის სადავო საკითხების მოსაწესრიგებელი საორგანიზაციო კომისიის სპეციალური გადაწყვეტილება იქნეს ფორმის სასარგებლოდ<sup>22</sup>. ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონშიც იქნეს ფორმა შეტანილი. სპეციალურ ლიტერატურაში მოცემულია ამ წესის დასაბუთებაც<sup>23</sup>. მაგრამ სიჭრელე ჯერჯერობით მაინც არის.

მაგალიტები პრესიდან:

განა დასაშვებია, ამ გარდამავალი ისტორიული მონაცემის ფენომენი მიჩნეულ იქნას ყველა დროის კრედოდ? („კომ.“); ორგანიზმის ქსოვილებისა და ცილების ეს ცვლილებები შეიძლება გამოწვეულ იქნას სხვადასხვა გარეგანი და შინაგანი ფაქტორებით („საქ. ქალი“); ეკონომიკასთან მეგობრობით მიღწეულ იქნას სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვე („სოფ. ცხოვრ.“); კომისიამ დაადგინა: ანუ ღირებულ იქნას მატჩის ანგარიში („ლელო“) და სხვ.

მაგალიტები სამეცნიერო ლიტერატურიდან:

მათი სამგვარობა მოხსნილ უნდა იქნეს („ფილ. შრ.“) უკუგდებულ უნდა იქნეს აზრი იმის შესახებ, რომ... (ივე); წინა თეორემის ანალიზი გიურად შეიძლება დამტკიცებულ იქნეს შემდეგი („მათ. ანალიზ.“); ეს

21 ი.ე. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, 1954, გვ. 56.  
 22 სალიტერატურო ქართული სათვინის, 1921, გვ. 34.  
 23 გ. გოგოლაშვილი, ე- და ას-სუფიქსიანი მეორე კავშირებითის შესახებ ახალ ქართულში: ქსკს, V, 1983, გვ. 81—89.

კანონი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ინერციის კანონის განზოგადება („ფიზ.“) და სხვ.

მოდულობის გასაძლიერებლად აღწერით ფორმას ხშირად ერთეის მოდულური სიტყვები ან ნაწილაკები: მიზანშეწონილია, სასარგებლოა, შესაძლებელია (შესაძლოა), შეიძლება (არ შეიძლება), საჭიროა, უნდა, რომ/რათა...

მაგალითები:

მომავალში მიზანშეწონილია ყველა ეს რესურსი გამოყენებულ იქნეს ისევე კომპლექსურად, როგორც ეს ხდება ლენინგრადის თქვის კირიშის ბიოქიმიურ ქარხანაში („მეც. და ტექნ.“); ხშირად სასარგებლოა ინტეგრალქვეშა ფუნქცია მიყვანილ იქნას [უნდა: იქნეს] სახეზე, რომელშიაც ის მხოლოდ ორ პარამეტრზე იქნება დამოკიდებული („მათ. ანალიზ.“); ყველა ვარიანტი შეიძლება დაყვანილ იქნეს სამზე („ფილ. შრ.“); ეს შესაძლებლობას იძლევა, რათა მიღწეულ იქნეს ნაკეთობათა გამოშვება („საქ. კომ.“) და მისთ.

ასეთი შესაძლებლობა-სასურველობის, აუცილებლობა-კატეგორიულობის სემანტიკით აღწერითი ვნებითის II კავშირებითის ფორმები სამეცნიერო ლიტერატურის ენის გარდა ფართოდ გამოიყენება ოფიციალური საქმების ენაში: დადენილებების, გადაწყვეტილებების გამოტანისას, ბრძანებულებების, განკარგულებების მიცემისას (დაჯილდოებულ იქნეს, მოწვეულ იქნეს, დასახელებულ იქნეს, ვათვალისწინებულ იქნეს და ა. შ.) ეს ფორმები ასეთ სტილში შეუცვლელიც კია<sup>24</sup>. ასეთ შემთხვევებში არ სჯობს არც ვნებითის ორგანული ფორმები და არც აქტიური კონსტრუქციები. ამ ფუნქციის გამო დაჯილდოებულ იქნეს ტიპის ფორმებს კატეგორიულობის მომავლის ფორმები შეიძლება ეწოდოს.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში იხმარება იქნა/იქნეს ფორმათა მრავლობითი რიცხვის საზიარო იქნენ ფორმაც.

მაგალითები:

ისინი განსაზღვრულ იქნენ, როგორც დინამიური ერთიანობანი („ფილ. შრ.“); ე. წ. დისიბაციური ძალები... არ შეიძლება განსაზღვრულ იქნენ პოტენციური ვნერჯის საშუალებით (ფიზ.); წარუმატებელი ტურის შემდეგ წვერები მიწვეულ იქნენ გულაზილ საუბარზე („ახ. კომ.“); შერალ მდგომარეობაში დაკავებულ იქნენ მესტიის რაიონის მძღოლები („მებრძ.“); შეიძლება წამოყენებულ იქნენ სხვა მოსაზრებებიც („ფილ. შრ.“) და სხვ.

როგორც მაგალითები გვიჩვენებს, ან თვით კონსტრუქციის სემანტიკა ვერ იფუძვს მეშველი ზმნის მრავლობითის ფორმას (როცა

24 ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, III, 1980, გვ. 258-259; ტ. IV, 1981, გვ. 150—151.

გრამატიკული სუბიექტი, რომელიც რეალურად ობიექტია, უსუ-  
ლოა) და გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდობითის ფორმა: საჭიროა  
„ძალები განსაზღვრულ იქნეს“, „მოსაზრებები  
წამოყენებულ იქნეს“. ხოლო, როცა რეალური ობიექტი  
სულიერია, მაშინ აღწერითი ფორმა მის მრავლობითობას ასახავს.  
ასეთ შემთხვევაში რეალურ სუბიექტადაც თუ სულიერი იგულისხმე-  
ბა, კონტექსტისათვის უფრო შესაფერისია აქტიური ფორმა: გუნდის  
წევრები მოიწვიეს გულახდილ საუბარზე, მძღოლები  
დააკავეს. ან, თუ მაინცდამაინც ბრესის ენა პასიურ ფორმას  
ამჯობინებს, მაშინ იქნება ასე: მოწვეული იქნენ, დაკავე-  
ბული იქნენ. ჩვეულებრივ კი, როგორც ჩანს, აღწერითი ვნები-  
თის ფორმას მრავლობითი რიცხვის გამოხატვა უჭირს.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ აღწერით ვნე-  
ბითში „მეშველად გამოყენებულია „იქნება“, „იქნა“. ამ მოვლენას  
სრულ-სახიან ზმნებში აქვს ადგილი, მაშასადამე, აღწერილობითი  
ვნებითი არ შეიძლება აწმყოას წრეში შეგხვდეს, რომელიც უსრულ-  
სახიანი ზმნის კუთვნილებაა“<sup>25</sup>. „თანხა გაღებულ იქნება“ და „თანხა  
გაღებულ იქნა“, აგრეთვე „ძმა გაგზავნილ იქნება“ და „ძმა გაგზავ-  
ნილ იქნა“ ერთნაირ, აღწერითი ვნებითის ფორმებად არის მიჩნეუ-  
ლი.

„გაღებულ იქნა“ და „გაღებულ იქნება“ ფორმები ერთ დონე-  
ზე ვერ განიხილება. იქნება დინამიკურია, არის, იყო ზმნათა პარა-  
დიგმის ნაწილიცაა და, საერთოდ, დამოუკიდებლობის მეტი უნარი  
აქვს იქნა/იქნეს ფორმებთან შედარებით. ამიტომ მიმღეობას უმე-  
ტესად სახელობითი ბრუნვის ფორმით შეიწყობს. მაგალითები:

ამის შედეგად მიღწეული იქნება გადაწყვეტილების მიღების მაქსიმალური  
სისწრაფე („მეცნ. და ტექნ.“); ნელნელად გამოყენებული იქნე-  
ბა ჭიათურა-სახიერის წიაღში არსებული მანგანუმის მადანი („მეცნ. და ტექნ.“)  
და სხვ.

ასეთივე ვითარებაა ბრესის ენაშიც:

[საქონელი] შემდეგ გადაცემული იქნება დანიშნულებისამებრ  
(„განთ.“); გამოითქვა შენიშვნები, რომლებიც ვათვალისწინებულ იქ-  
ნება დებულების პრაქტიკულად განხორციელების დროს („ლელი“); სპეციალურ  
ფიქრის მიერ შერჩეული ოცი საუკეთესო სურათი დემონსტრირებული  
იქნება („ახ. კომ.“); მოწყობილობისა და კაბელის მიწოდება უზრუნველ-  
ყოფილი იქნება ვადამდე („კომ.“) და სხვ.

ასეთი ფორმები იზნარება მრავლობით რიცხვშიც:

<sup>25</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 304; ლ. კვაჭაძე, ქართული ენის ლინტაქსი, 1977, გვ. 63.

გამყიდველთა ჯგუფში პირველ რიგში ჩაირიცხებიან ქალები უგამოდოდ ხოლო ვაყები მიღებული იქნებიან ქალების ჩაირიცხვის შემდეგ დარჩენილ ადგილებზე გასუბრების შედეგად („ობილ.“); კურსდამთავრებულნი მოწყობილი იქნებიან სამუშაოზე (იქვე).

**იქნება** ზმნით შედგენილი აღწერითი ფორმის მორფოლოგიური ფუნქციის გასარკვევად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემებს, სადაც **იქნება**-სთან მიმღეობა ყოველთვის სახელობითის ფორმითაა. ეს ვითარება და, ამასთანავე, მრავლობით რიცხვში მისი ხმარება საფუძველს იძლევა ვიფიქროთ, რომ ასეთი აღწერითი ფორმა — მიმღეობა (სახელობით ბრუნვაში) + **იქნება (იქნებიან)** — არ არის აღწერითი ვნებითი, იგი პასიური სემანტიკის მქონე ჩვეულებრივი აღწერითი ფორმაა, რომლის მსგავსი სხვაც ბევრია თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში (მოწყობილია, მოწყობილი იყო, მოწყობილი იქნება...).

იქამდე განხილული იყო მხოლოდ ისეთი აღწერითი ფორმები, რომლებშიც დაცულია თანმიმდევრობა: მიმღეობა + ზმნა. ასეთ შემთხვევებშიც ყოველთვის როდია აღწერითი ფორმა აღწერითი ვნებითისა. შებრუნებული რიგის დროს (ზმნა + მიმღეობა) ვითარება უფრო ნათელია — მიმღეობა ყოველთვის სახელობით ბრუნვაშია იმის მიუხედავად, რა ფორმითაა ზმნა (**იქნა, იქნეს** თუ **იქნება, იქნებიან**). ასეთი წყობით აღწერითი ფორმები პასიური სემანტიკის — გადმოსაცემად ძალზე ხშირად გამოიყენება თანამედროვე ქართულში.

მაგალითები — **იქნა + მიმღეობის სახელობითი ბრუნვა:**

პირველად **იქნა** დადგენილი დამურების, მწერიკამებისა და მღრღნელების საქმად მრავალფეროვანი კომპლექსის არსებობა („მომამბე“); მიღებული ზომების შედეგად იგი მაღე **იქნა** დაკავებული („მებრძ.“); თუ არ **იქნა** კარგად დახვეული და დაქსელილი ძაფი, ლაპარაკი შედგებია პროდუქციის ხარისხზე („გამარჯვ. გზა“); ღრმად **იქნა** გაანალიზებული საგანაღებულო სახელმწიფო გამოცდების შედეგები („სკ. და ცხოვრ.“); უკანასკნელ წლებში დიდი მუშაობა **იქნა** გაწეული გაზეთების ბეჭდვის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით („ახ. კომ.“); [ბიბლიოთეკა] ორჯერ **იქნა** გაჩხრეკილი 1902 წელს („სკ. და ცხოვრ.“); იანვარში ენგურის გადასადგები არხების მშენებლობა დამკვეთურ ობიექტად **იქნა** გამოცხადებული („კომ.“); საჯულისხმო დადგენილება **იქნა** მიღებული ამ დღეებში („ახ. კომ.“); მეთოდი წარმატებით **იქნა** გამოყენებული რიგი ციტოლოგიური და ფიზიოლოგიური კვლევების(!) დროს („მეცნ. და ტექნ.“); დედაპირუტყვი დიდი რაოდენობით **იქნა** შემოყვანილი ბალტიისპირა რესპუბლიკებიდან („სოფლ. ცხოვრ.“); იანვრის დავალება ამი დღით აღდგ **იქნა** შესრულებული („ახ. კომ.“); სახელოვანი მებრძოლი მრავალჯერ **იქნა** წახალისებული ნაწილის მეთაურობის მიერ („მებრძ.“); გაკვეთილზე მომენტებიც კარგად იყო დაცული, დროც ზომიერად **იქნა** დოზირებული („სახ. გან.“); ორივე გოლი სხვა

რთულ სიტუაციებთან შედარებით ერთობ მარტივი ვითარებაში იქნა რეალიზებული (სკომ.) და ა. შ.

როგორც მაგალითებიდან ჩანს, აღწერით ფორმაში ზმნისა და მიმღებობის ოცი ყოველთვის თავისუფალი არ არის. იგი დამოკიდებულია წინადადებაში შედგენილი შემასმენლის ზმნურ ნაწილთან უშუალოდ დაკავშირებული მეორეხარისხოვანი წევრების ან დამხმარე სიტყვების (ზმნისართების, ზმნური ან უარყოფითი ნაწილაკების) მონაწილეობაზე და მათ ადგილზე<sup>26</sup>. მაგალითად, ერთნაირი სინტაქსური ღირებულებისა არ არის წინადადებები: დავალება სამი დღით ადრე იქნა შესრულებული და დავალება შესრულებულ იქნა სამი დღით ადრე, ან: დავალება კარგად იქნა შესრულებული და დავალება შესრულებული იქნა კარგად. მნიშვნელობა აქვს ლოგიკურად გამოყოფილ სიტყვასაც.

ასეთივე ვითარებაა იქნეს + მიმღება კომბინაციის დროსაც:

d და F ერთი და იმავე ერთეულებით უნდა იქნეს გამოხატული (ასტროფ.); სასარგებლოა წინასწარ იქნეს გამოკვლეული, იცვლება თუ არა მრუდები (ასტროფ.); უნდა იქნეს გამოყენებული მომიჯნავე მეცნიერებანი (ალიტ. საქ.); უფრო სრულად უნდა იქნას გამოყენებული ტექნიკა (სკომ.); ამიტომ არის საჭირო, სტრუქტურული ანალიზი ცალკე იქნეს მოცემული, ლექსიკურ-სემანტიკური ცალკე (იკე); საჭიროა სასწრაფოდ იქნას მოყვანილი მზადყოფნაში კომბინები, ავტოტრანსპორტი (ახ. ცხოვრ.) და სხვ. მრ.

ასეთი რიგის დროს (იქნა/იქნეს + შესრულებული) ზმნას მეტი დამოუკიდებლობა აქვს და მიმღებაც ამიტომ სახელობით ბრუნვაშია. ასეთი კონსტრუქციის მორფოლოგიური ფუნქცია ისეთი აღარ არის, როგორც პირდაპირი წყობის დროს (შესრულებულ იქნა). მას შერჩენილი აქვს მხოლოდ პასიურობის გამოხატვის ფუნქცია, ვნებითის პარადიგმის შემვსების ფუნქცია კი — დაკარგული. იგი ჩვეულებრივი აღწერითი ფორმაა, ხშირად სხვა ენის გავლენით თარგმნის პროცესში პირდაპირ გადმოტანილი და მოხშირებული (Был построен, будет построен).

\* \* \*

ამრიგად, როგორც თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენის მასალა გვიჩვენებს, აღწერითი ვნებითი, მიუხედავად მისი სემანტიკური და ფორმოზომიერი შეზღუდულობისას, სალიტერატურო

26 შ. აფრიდონიძე, სიტყვათგანლაგება ახალ ქართულში, 1986, გვ. 23—



ქართულის მოხმარების ზოგ სფეროში მყარად არსებული ენობრივი ფაქტია. ეს შეზღუდვები კი შემდეგში გამოიხატება:

აღწერითი ვნებითის ფორმები იხმარება: 1. მხოლოდ აბსოლუტური (ერთპირიანობის) გავებით; 2. მხოლოდ III პირში (არა აქვს I და II პირის ფორმები); 3. ოდენ მხოლოდობით რიცხვში და 4. დროკილოთა II ჯგუფში (აკლია I და III ჯგუფის ფორმები და ამ მხრივაც დეფექტურია).

აღწერითი ვნებითის ნამყო ძირითადის ფორმით აღნიშნულია ერთჯერადი, დასრულებული მოქმედება, რაც გამობატულია სათანადო ზმნისაგან ნაწარმოები წარსული დროის, ზმნისწინიანი, ვნებითი გვარის მიმღობის ფუძითა და თვით მოქმედების ფაქტის აღმნიშვნელი, -ი-პრეფიქსიანი ვნებითის ი-ქ-ნ-ა ზმნით (და-წერ-ილ-ი-ქ-ნ-ა).

II კავშირებითის (და-წერ-ილ ი-ქ-ნ-ე-ს) ფორმა ერთგვარი კატეგორიულობის, აუცილებლობის, ზოგჯერ ბრძანებითობის მოდალობის გამოხატველია მოქმედების მომენტობრივი ელფერით.

მიმღობისა და მეშველი ზმნის კომბინაცია, რომელიც იძლევა აღწერით ვნებითს, ისეთსავე გრამატიკულ ერთეულად აღიქმება, როგორც საერთოდ ერთპირიანი ვნებითი გვარის ზმნების თურმეობითის ფორმები (დაწერილა, დაწერილიყო). ზოგი გრამატიკოსი, როგორც ჩანს, აღწერითი ვნებითის ფორმას ერთ სიტყვადაც კი თვლიდა, როცა ერთად წერდა ორივე შემადგენელ კომპონენტს: მოკლულიქნა, გადაყვანილიქნა<sup>27</sup>. მაგრამ ჭერჯერობით ისე შესუსტებულად არ არის მიმღობისა და ზმნის ცალ-ცალკე ლექსიკურ ერთეულებად აღქმის შესაძლებლობა, რომ იანი ერთად დაეწერათ, — მით უფრო, რომ რიგის შეცვლის შემთხვევაში მიმღობის დამოუკიდებლობა უფრო საგრძნობია და ამის გამო იგი სახელობითი ბრუნვის ფორმით იხმარება (იქნა/იქნეს დაწერილი, იქნა/იქნეს აშენებული...), თუმცა ისიც ანგარიშგასაწევა, რომ ასეთი კომბინაციით (ზმნა + მიმღობა) ამ ფორმებს აღარაფერი ასხვავებს ჩვეულებრივი შედგენილი შემასმენლისაგან.

ისმის აღწერითი ვნებითის სინტაქსური კვალიფიკაციის საკითხი. სპეციალურ ლიტერატურაში წამოყენებულია დებულება: „პერიფრასტული ვნებითი უნდა გარჩეულ იქნეს შედგენილი შემასმენლისაგან, რომელშიც ვნებითის მიმღობა შედის“<sup>28</sup>. გარჩევის სასაშუალებები კი ასეთია: შედგენილ შემასმენელში დამხმარე ზმნას შეუძლია ჰქონდეს სხვადასხვა პირის, რიცხვისა და დროის ფორმა

<sup>27</sup> ს. ზუნდაძე, ქართული გრამატიკა, 1904, 164; მისივე, ქართული მართლწერის და სწორენის ძირითადი საფუძვლები, 1927, გვ. 74.

<sup>28</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, 304; ლ. კვაჭაძე, ქართული ენის სინტაქსი, 1977, 63.

(თანაც, აბსოლუტურის გარდა, რელატიური გაგებაც), მიმღობა კი სახელობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგება. აღწერით ვნებითს შეზღუდული ფორმები ახასიათებს, რაზედაც უკვე ითქვა. ყველაფერი ამის გამო აღწერითი ვნებითი და შედგენილი შემასმენელი მორფოლოგიური თვალსაზრისით სხვადასხვა ფუნქციურ-გრამატიკულ ოდენობებად წარმოგვიდგება. კერძოდ, აღწერითი ვნებითის ფუნქცია მორფოლოგიურს უფრო უახლოვდება, შედგენილი შემასმენლის საკითხი კი მხოლოდ სინტაქსურ-სტრუქტურულ საკითხებს შორის იგარაუდება. ამიტომ მათი დაპირისპირება არ იძლევა რომელიმე მათგანის სრულად დახასიათების საშუალებას.

სტრუქტურულად აღწერითი ვნებითიც შედგენილ შემასმენელს ემსგავსება — სახელადი ნაწილისა და დამხმარე ზმნისაგან შედგება. მაგრამ შედგენილ შემასმენელში სახელად ნაწილად შეიძლება იყოს ყოველგვარი სახელი და მათ შორის მიმღობაც სახელობითი ან რომელიმე უთანდებულო ირიბი (მიცემითი ან ვითარებითი) ბრუნვით. დამხმარე ზმნებად კი, გარდა არის, იქნება, იყო ზმნათა ფორმებისა, გამოყენებულია სხვა ზმნებიც. ეს საკითხი ქართული მასალის მიხედვით ჭერჯერობით გამოწვლილვით შესწავლილი არ არის.

ლ. კვაჭაძის „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსის“ ერთ-ერთ პარაგრაფად შეტანილია საკითხი „აღწერილობითი ვნებითი შემასმენლად“, მაგრამ ცალსახად არც აქ არის ჩამოყალიბებული მკვლევრის თვალსაზრისი, თუ როგორ შემასმენლად მიიჩნევა აღწერითი ვნებითი. საყურადღებოა პარაგრაფის ბოლოს გაკეთებული შენიშვნა: „შემასმენელი ზოგჯერ გადმოცემულია მყარ სიტყვათა შეკავშირებით, რომელიც მნიშვნელობით სინონიმურია ზმნის პირიანი ფორმისა. „დიდმა ბატონმა თქვენი ძირი წაიღო“ (ჭავჭავაძე). „თქვენი ძირი წაიღო“ მნიშვნელობით იგივეა, რაც „მოკვდა“. ეს შენიშვნა თითქოს ნათელს ჰფენს ავტორის პოზიციას. ავტორს აღწერითი ვნებითის ფორმა, მყარი შესიტყვების მსგავსად, მიაჩნია ერთ მთლიან სტრუქტურულ ოდენობად, რომელიც სინტაქსურადაც დაუნაწევრებლად უნდა იქნეს გააზრებული.

აღწერითი ვნებითის მორფოლოგიური ფუნქცია თითქოს ცხადია, წმინდა სინტაქსური თვალსაზრისით კი იგი შედგენილი შემასმენლის ერთ-ერთ სახეობად შეიძლება ჩაითვალოს. შედგენილი შემასმენლის სხვა სახეობათაგან განსხვავებით, აღწერითი ვნებითის ფორმაში უფრო მჭიდრო კავშირია სახელად და ზმნურ ნაწილეს შორის. დამინც ჭერჯერობით იგი არ არის ისეთი მყარი მორფოლოგიური ერთეული, რომ სინტაქსურადაც ერთ მთლიანობად (განვიხილოთ (დაწერილია, დაწერილიყო ფორმების მსგავსად). ამდენად, აღწერითი ვნებითი და შედგენილი შემასმენელი სტრუქტურულად ვერ

დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. ოღონდ სალიტერატურო ქართულში ფორმალურად მაინც უნდა გაიჩიეს აღწერითი ვნებითი ვნებითის მიმღებობიანი შედგენილი შემასმენლის სხვა სახეებისაგან. აღწერით ვნებითში მიმღებობა ფუძით უნდა იყოს წარმოდგენილი (თუ ასეთი რიგია: მიმღებობა + ზმნა). სხვა ყველა შემთხვევაში, როცა მიმღებობა სახელობითი ბრუნვის ფორმით იქნება წარმოდგენილი, საქმე გვექნება შედგენილ შემასმენელთან.

რაკი აღწერითი ვნებითი დეფექტურია (ფორმანაკლულია), ხარვეზის შესავსებად გამოყენებულია შედგენილი შემასმენლის სხვა სახეები ახლანდელი დროისთვისაც (დაწერილია, აშენებულა...) და მომავლისთვისაც (დაწერილი იქნება, აშენებული იქნება...) აღწერითი ვნებითის ფორმათა მსგავსად, ასეთი (ვნებითი გვარის მიმღებობით შედგენილი) შემასმენლების სემანტიკაც პასიურია. ამითაც არის შეპირობებული მათი ხშირი გამოყენება განსაკუთრებით სამეცნიერო ლიტერატურის ენაში, კერძოდ, სამეცნიერო ნაშრომების დასკვნითსა და შემაჯამებელ მსჯელობაში.

მაშასადამე, პასიურის სემანტიკის მქონე ყველა აღწერითი ფორმა როდია აღწერითი ვნებითი (ანუ მორფოლოგიური ფუნქციის მქონე). ზესაბამისად იგი ასე შეიძლება დახასიათდეს:

1. აღწერითი ვნებითი შეიძლება ეწოდოს პასიურობის გამომხატველ მხოლოდ ისეთ აღწერით ფორმებს, რომლებსაც მორფოლოგიური ფუნქცია აქვთ — მონაწილეობენ ვნებითი გვარის პარადიგმაში. ამდენად „აღწერითი ვნებითის“ ცნება უფრო ვიწროა, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს.

2. აღწერითი ვნებითის სტრუქტურა ასეთია: ვნებითი გვარის წარსული დროის მიმღებობის ფუძე + იქნა/იქნეს.

3. მოცემული სტრუქტურის კომპონენტების გადასმისას (რიგის შეცვლის ან გათიშვის დროს) საქმე გვექნება პასიური სემანტიკის მქონე ჩვეულებრივ აღწერით ფორმასთან, ჩვეულებრივ შედგენილ შემასმენელთან, რომელშიც ვნებითი გვარის მიმღებობა სახელობით ბრუნვაშია (იქნა აშენებული, აშენებული რომ იქნეს...).

4. იქნება (როგორც არის, იყო ზმნებს მონაცვლე) ვერ ჩაითვლება აღწერითი ვნებითის კომპონენტად. ამის გამო მიმღებობასაც სახელობითის ფორმით მოითხოვს.

5. გამონაკლისად და არაბუნებრივად უნდა ჩაითვალოს იქნენ ფორმის გამოყენება აღწერით ვნებითში. მისი ხმარების შემთხვევათა ერთ ნაწილში მხოლოდობითი რიცხვის (იქნა) ფორმაა საჭირო; კერძოდ, როცა გრამატიკული სუბიექტი (რეალური ობიექტი) უსულაა: ძალები შეიძლება განსაზღვრულ იქნეს (და არა: იქ-

ნენ). მაგრამ, როცა რეალური ობიექტი (გრამატიკული სუბიექტი) სულიერია, მაშინ იქნენ ფორმასთან მიმღეობა სახელობითის ფორ-  
მიოაც ბუნებრივია (დებუტატობის კანდიდატებად წამოყენებულ  
იქნენ // წამოყენებული იქნენ, მივლინებულ იქნენ // მივლინებული  
იქნენ, დაპატიმრებულ იქნენ // დაპატიმრებული იქნენ, დაკავებულ  
იქნენ // დაკავებული იქნენ...). ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივი აღ-  
წერითი ფორმა გვექნება და არა აღწერითი ვნებითი. კონსტრუქციი-  
სა და მასში მონაწილე ზმნის სემანტიკის გამო კი მოსახერხებელი  
და უფრო ბუნებრივი იქნება აქტიური ფორმის გამოყენება (დააპა-  
ტიმრეს, დააკავეს...).

6. აღწერითი ვნებითი შესაბამისი აქტიური ზმნის ნამდვილი  
კონვერსიული ფორმაა და ამის გამო, როგორც წესი, ყოველთვის  
შეიცავს რეალური სუბიექტის გაგებასაც, რაც სათანადოდ შეიძლება  
ასახული იყოს კონსტრუქციაში მიერ თანდებულიანი წევრით (აშენ-  
ებულ იქნა მეზობლის მიერ — მეზობელმა ა  
აშენა). მაგრამ ასეთი კონსტრუქციები საქმიანი და სამეცნიერო  
მეტყველების სტილში თუ დასაშვებია ზედმეტი სიზუსტის მოთ-  
ხოვნის დასაკმაყოფილებლად (მის/ჩვენ მიერ გამოკვლეულ/გაანა-  
ლზებულ/დადგინდ... იქნა). პრესის ენაში, რომელსაც პოპულა-  
რულობა და სასაუბრო მეტყველებასთან მეტი სიახლოვე მოეთხოვე-  
ბა, ისინი უადგილოა და ნაძალადევი. ამიტომ სასურველია ასეთ  
შემთხვევაში აქტიურ ფორმებს მიეცეს უპირატესობა.

7. ფორმობრივი შეზღუდულობის გამო აღწერითი ვნებითი სე-  
მანტიკურადაც შეზღუდულია: იგი გამოხატავს მხოლოდ წარსულ  
დროში დასრულებულ, ფაქტობრივად განცდილ (აშენებულ იქნა)  
ან მომავალში კატეგორიულად შესასრულებელ, აუცილებელ, სასურ-  
ველ (აშენებულ იქნეს) მოქმედებას. ამიტომ მოულოდნელი არ არის,  
რომ ზმნის ფორმები სრული ასპექტისაა. ამავე მიზეზით მისთვის უც-  
ხოა ვნებითის ორგანული ფორმებისათვის დამახასიათებელი სემან-  
ტიკური ნიუანსები (ჩვეულებითობა-ზოგადობა, მიჩნევეითობა და  
მისთ...).

8. აღწერითი ვნებითის სემანტიკის გასარკვევად ნიშანდობლი-  
ვია ის ფაქტიც, რომ შესაბამისი აღწერითი ვნებითის ფორმები არც  
-ე-პრეფისქიან ან ორპირიან -დონიან და არც უგვარო დინამიკურ  
ზმნებს (ე. წ. უნიშნო ვნებითებს) არ ექარმოება.

აღწერითი ვნებითის გამოყენების კანონზომიერების საკითხთან  
დაკავშირებით უნდა აღინიშოს შემდეგი:

1. ლექსიკურ-სემანტიკურ და ფორმობრივ-სტრუქტურული შეზ-  
ღუდულობის მიუხედავად, აღწერითი ვნებითის ფორმები თანამედ-  
როვე სალიტერატურო ქართული ენის საქმიანი მეტყველების სტი-

ლისა და, აქედან, სამეცნიერო და პუბლიცისტური სტილებისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი აქტიური სტრუქტურულ-გრამატიკული საშუალებაა. ეს საშუალება ფუნქციურ სტილთა განმასხვავებელ ერთ-ერთ თავისებურებად უნდა გამოიყოს ისევე, როგორც საერთოდ ვნებითური კონსტრუქციებისათვის უპირატესობის მინიჭება ან პასიურობის აღწერითი წარმოება შედგენილი შემასმენლის სხვა სახეობებით (აშენებულია, აშენებულ იყო, აშენებულ იქნება და სხვ.).

ა. 2. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მოხმარების აღნიშნულ სფეროებში აღწერითი ვნებითის გამოყენება აუცილებელი ხდება ისეთ შემთხვევებში, როცა ზმნას აკლია ორგანული ვნებითის ფორმები (მიღწეულ იქნა, მივლინებულ იქნა...)<sup>29</sup>.

ბ. როცა არა არსებობს უცხოურ -იზ და ირ-სუფიქსებიანი სიტყვებისაგან ვნებითის ორგანული ფორმები (მობილიზებულ იქნა. კოდირებულ იქნა...).

გ. როცა ორგანული, ინიანი ვნებითისა და სათავისო ქცევის ფორმები ერთმანეთს ემთხვევა დრო-კილოთა II ჯგუფში და მათ მხოლოდ კონტექსტი განარჩევს (დაისახა მან ის — დაისახა ის).

ამ უკანასკნელ შემთხვევაში მოქმედებითისა და ვნებითის ფორმათა გასარჩევად, როგორც ჩანს, ენამ ზოგი ისეთი სტილისათვის, რომელშიც ვნებითის ფორმები უფრო ხშირად მოიხმარება, მიმართა თავისივე სხვა შესაძლებლობას — გამოიყენა აღწერითი ვნებითის ფორმები (დასახულ იქნა, გაღებულ იქნა...).

3. სხვა შემთხვევებში ინიან და ერთპირიან დონიან ვნებითთა მონაცვლელ აღწერითი ვნებითის გამოყენება დასახელებული სტილებისათვის ნებისმიერია. ასეთ დროსაც სამეცნიერო ლიტერატურის ენაში აღწერითი ვნებითის ფორმები უფრო ბუნებრივი ჩანს თვით სამეცნიერო ლიტერატურის თემატიკისა და ობიექტურ სინამდვილესთან მისი დამოკიდებულების გამო (ცდა ჩატარდა — ცდა ჩატარებულ იქნა). პუბლიცისტურ სტილშიც ზოგჯერ უფრო შესაფერისია აღწერითი ფორმის ხმარება ორგანული ვნებითის მაგივრად, მაგრამ უფრო ხშირად ამჟამაა მისი უადგილო ხმარება აქტიური ზმნის ფორმის შესაცვლელად.

4. აღწერითი ვნებითი თანამედროვე სალიტერატურო ქართული-სათვის საჭირო გრამატიკულ-სტილისტიკური დანიშნულების მქონე ენობრივი ერთეულია. მასზე უარს ვერ იტყვის სალიტერატურო ქართული ენა ისევე, როგორც ვერ შეეღევა იგი პასივის სხვა აღ-

<sup>29</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 304; ვ. თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, 1965, გვ. 105.



წერით ფორმებსაც. მაგრამ აღწერითი ვნებითის გამოყენების შეზღუდვა მაინც საჭიროა ისეთ კონტექსტებში მაინც, სადაც აქტიური ზმნების გამოყენება უფრო ბუნებრივია და შესაფერისი, აღწერითი ვნებითი კი „როგორც გრამატიკული, ისე სტილისტიკური თვალსაზრისით მიუღებელი“<sup>20</sup>. მაგ.: აობრებულ იქნა, მოსპობილ იქნა, ჩადენილ იქნა, დაპატიმრებულ იქნა და მისთ.

5. აღწერითი ფორმებისა და საერთოდ, პასიური სემანტიკის მქონე შედგენილი შემასმენლის თანამედროვე წერილობით ენაში გამოყენების სიხშირის ერთ-ერთი მიზეზი სხვა ენის გავლენის გარდა ისიც უნდა იყოს, რომ ვნებითი და მოქმედებითი გვარის ზმნათა ორგანული ფორმები II ჯგუფის დრო-კილოებში მორფოლოგიურად მინიმალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან. რაკი პრესის ინფორმაციისა და სამეცნიერო ლიტერატურის ენაში ამ სფეროთა მიზანდესახეობის გამო ვნებითის ფორმებს ეძლევა უპირატესობა, ამიტომ გასაგები ხდება ზმნათა II ჯგუფის დრო-კილოებისათვის სტრუქტურულად უფრო მცტად განსხვავებული აღწერითი ფორმების გამოყენება, რასაც თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა თვალსაზრისით შეზღუდვა უთუოდ ესაჭიროება.

---

<sup>20</sup> ვ. თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, 1965, გვ. 106.